საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

22/12/2020 N 114/ო

„ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 64.30.01.356; 64.10.02.185; 64.30.06.276) და მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ 2020 წლის 1 ივნისის №49/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.356; 64.10.02.185; 64.30.06.276) და მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ 2020 წლის 1 ივნისის №49/ო ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), მიხეილ თავართქილაძის (პ/ნ: 01015016096) 2020 წლის 13 აპრილის №2735/01 განცხადების საფუძველზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.356; 64.10.02.185; 64.30.06.276) და მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე და გაცემულ იქნა შესაბამისი დავალება. ამავე ბრძანებით სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს დაევალა შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება დაინტერესებულ პირთან, ზურაბ კერვალიშვილთან. ბრძანების მე-3 პუნქტით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადა. ამასთან, ბრძანების №2 დანართის (განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დავალება) მე-6 პუნქტით დაკონკრეტდა დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპები, კერძოდ, საბაზისო მონაცემების, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის წარმოდგენისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის წარმოდგენისთვის - ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და დაინტერესებულ პირს, მიხეილ თავართქილაძეს შორის 2020 წლის 5 ივნისს გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება №3/20. მიხეილ თავართქილაძის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ იქნა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის განხილვისა და დამტკიცების მიზნით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და დღეის მდგომარეობით იგი არ არის დამტკიცებული.

გამომდინარე იქიდან, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი დაინტერესებული პირის მიერ უნდა მომზადდეს დამტკიცებული კონცეფციის საფუძველზე, მიზანშეწონილია, ცვლილება იქნას შეტანილი „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.356; 64.10.02.185; 64.30.06.276) და მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ 2020 წლის 1 ივნისის №49/ო ბრძანებაში განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების ვადასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.356; 64.10.02.185; 64.30.06.276) და მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ 2020 წლის 1 ივნისის №49/ო ბრძანებაში და ბრძანების:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ უნდა იქნეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.“;

ბ) დანართი №2-ის 6.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი - წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში.“.

2. დაევალოს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მიხეილ თავართქილაძეს შორის 2020 წლის 5 ივნისს გაფორმებულ №3/20 ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 5 დეკემბრიდან.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ცქიტიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი